საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 02/3774
26/12/2023

3774-01-2-202312261633

შპს “ლიდერ გლასს“ (ს/კ: 400302436)

მის: ქ. თბილისი, გ.ჭედის ქ. №20

ტელეფონი: 579 777 209

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 21 ნოემბრის № 04/848 ბრძანებით, სააგენტომ მოქალაქე 2023 წლის 19 ოქტომბრის №01/3551 განცხადების საფუძველზე, დაიწყო საქმის შესწავლა შპს “ლიდერ გლასის“ (ს/კ: 400302436) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად უფლებამოსილია, საქმის შესწავლის მიზნით განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვოს ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაცია).

2023 წლის 19 ოქტომბრის №02/2841 და 2023 წლის 22 ნოემბრის №02/3428 წერილებით სააგენტომ თქვენგან გამოითხოვა პოზიცია განცხადებაში აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და ასევე, კონკრეტული ინფორმაცია მოვაჭრის - შპს “ლიდერ გლასის“ (ს/კ: 400302436) სავაჭრო პოლიტიკის თაობაზე ადგილზე ვაჭრობის დროს.

სააგენტოს აღნიშნულ წერილებზე პასუხი არ მიუღია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმეორებით გთხოვთ, პროცედურის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, საქმის შესწავლის მიზნით, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, მოგვაწოდოთ სავაჭრო პოლიტიკა სრული სახით.

დ.აღმაშენებლის გამზ. 154, 0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2440 770 (2174/2467)
info@gnca.gov.ge
www.gnca.gov.ge

დამატებით გაცნობებთ, რომ კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „ბ[1]“ ქვეპუნქტებისა და კანონის 34-ე მუხლის 4[1] პუნქტის შესაბამისად, ამ კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული <u>ინფორმაციის დადგენილ ვადაში სააგენტოსთვის მიუწოდებლობის ან არასრულად მიწოდების შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია მოვაჭრეს დააკისროს ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.</u> ამ ჯარიმის დაკისრებიდან 1 წლის განმავლობაში მოვაჭრის მიერ იმავე ქმედების ჩადენის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობაა 1 000 ლარი.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად უფლებამოსილია საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში, სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა მოვაჭრის მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის შესახებ.

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი